

ტესტი მაგისტრატურაში შემსვლელთათვის

„თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა“

1. რა არის ჟანრების გვარებად დეფინიციის საფუძველი?

- ა) სტრუქტურის თავისებურებანი;
- ბ) გამოსახვის საშუალებანი;
- გ) შეტყობინებისა და ანალიზის თანაფარდობა ტექსტში;
- დ) წარმოშობის ისტორია;

2. სად არის სრულად ჩამოთვლილი ყველა ინფორმაციული ჟანრი?

- ა) ინფორმაციული შენიშვნა, სტატია, ანგარიში, რეპორტაჟი, ინტერვიუ;
- ბ) ინფორმაციული შენიშვნა, ანგარიში, რეპორტაჟი, ინტერვიუ;
- გ) ინფორმაციული შენიშვნა, კორესპონდენცია, ანგარიში, რეპორტაჟი, ინტერვიუ;
- დ) ინფორმაციული შენიშვნა, სტატია, წერილი, რეპორტაჟი, ინტერვიუ;

3. სად არის სრულად ჩამოთვლილი ყველა ანალიტიკური ჟანრი?

- ა) კორესპონდენცია, რეპორტაჟი, სტატია, წერილი, მიმოხილვა, პრესის მიმოხილვა, რეცენზია, ნარკვევი, ჩანახატი, ფელეტონი, პამფლეტი
- ბ) კორესპონდენცია, საუბარი, სტატია, ინტერვიუ, მიმოხილვა, პრესის მიმოხილვა, რეცენზია, ნარკვევი, ჩანახატი, ფელეტონი, პამფლეტი;
- გ) კორესპონდენცია, საუბარი, სტატია, წერილი, მიმოხილვა, პრესის მიმოხილვა, რეცენზია, ნარკვევი, ჩანახატი, ფელეტონი, პამფლეტი;
- დ) კორესპონდენცია, საუბარი, სტატია, წერილი, მიმოხილვა, ანგარიში, რეცენზია, ნარკვევი, ჩანახატი, ფელეტონი, პამფლეტი;

4. სად არის სწორად ჩამოთვლილი ინფორმაციული შენიშვნის სახეები?

- ა) კომენტირებული, მოკლე, გაფართოებული;
- ბ) კომენტირებული, ქრონიკალური, ქრონიკა;
- გ) მოკლე, გაფართოებული, ქრონიკა;

დ) საკითხის დამყენებელი, გაფართოებული, მოკლე;

5. როგორი ფაქტი შეიძლება იყოს ინფორმაციული შენიშვნის ასახვის ობიექტი?

ა) მხოლოდ კრიმინალური;

ბ) მხოლოდ საერთაშორისო მდგომარეობის ამსახველი;

გ) ნებისმიერი აქტუალური ფაქტი;

დ) ქვეყნის საშინაო ვითარების ამსახველი;

6. რა არის კვადრატი, პირამიდა, გადმოზრუნებული პირამიდა?

ა) პუბლიკაციის ფორმა;

ბ) პუბლიკაციაში ფოტომასალის განთავსების ფორმა;

გ) პუბლიკაციის აგების პრინციპი;

დ) ტროპის სახე

7. რომელი პუბლიცისტური ჟანრის საგანია ფაქტი?

ა) რეცენზიის;

ბ) ინფორმაციული შენიშვნის;

გ) სტატიის;

დ) ნარკვევის

8. რა არის რეპორტაჟის საგანი?

ა) მოვლენა;

ბ) სიტუაცია;

გ) პროცესი;

დ) სახის შექმნა;

9. როგორი ფაქტი შეიძლება იყოს რეპორტაჟის ასახვის ობიექტი?

ა) მხოლოდ კრიმინალური;

ბ) მხოლოდ საერთაშორისო მდგომარეობის ამსახველი;

გ) ნებისმიერი დინამიკურად მიმდინარე ფაქტი;

დ) ქვეყნის საშინაო ვითარების ამსახველი;

10. რა განასხვავებს რეპორტაჟს ინფორმაციული შენიშვნისაგან?

- ა) ასახვის ობიექტი;
- ბ) გამოსახვის საშუალებები;
- გ) ასახვის ხერხი;
- დ) წარმოშობის ადგილი;

11. რა უნდა შეძლოს რეპორტაჟის ავტორმა?

- ა) სხვადასხვა ასპექტით გააშუქოს ფაქტი;
- ბ) გამოიკვლიოს ფაქტის წარმოშობის მიზეზები;
- გ) მკითხველს შეუქმნას დასწრების ეფექტი;
- დ) წამოჭრას პრობლემა;

12. რა საშუალებებით აღწევს რეპორტიორი თავის მიზანს?

- ა) დიდი ხნის მანძილზე აგროვებს მასალას რეპორტაჟისათვის;
- ბ) მოკლე წინადადებებით ქმნის თხრობის დინამიკურ სტილს;
- გ) იყენებს ირონიას, როგორც მხატვრულ ხერხს;
- დ) იყენებს კვლევის დედუქციურ მეთოდს;

13. სად არის სწორად ჩამოთვლილი რეპორტაჟის სახეები?

- ა) ქრონიკალური, კომენტირებული, საკითხის დამყენებელი, ჩანახატი;
- ბ) საგაზეთო-საჟურნალო, რადიორეპორტაჟი, ტელერეპორტაჟი, კინორეპორტაჟი, ფოტორეპორტაჟი;
- გ) საგაზეთო-საჟურნალო, რადიორეპორტაჟი, ტელერეპორტაჟი, ქრონიკალური, კომენტირებული;
- დ) საგაზეთო-საჟურნალო, რადიორეპორტაჟი, ტელერეპორტაჟი, კინორეპორტაჟი, საწარმოო რეპორტაჟი, მოვლენური რეპორტაჟი;

14. რომელი პუბლიცისტური ჟანრის ქვესახეებია ქრონიკალური და კომენტირებული?

- ა) კორესპონდენციის;
- ბ) სტატიის;
- გ) ანგარიშის;
- დ) წერილის;

15. რით განსხვავდება ანგარიში სხვა პუბლიცისტური ჟანრებისგან?

- ა) ასახვის ობიექტით;
- ბ) გამოსახვის საშუალებებით;
- გ) ასახვის ხერხით;
- დ) წარმოშობის ადგილით;

16. რომელი პუბლიცისტური ჟანრის საგანია სიტუაცია?

- ა) სტატიის;
- ბ) კორესპონდენციის;
- გ) რეცენზიის;
- დ) წერილის

17. რა განსხვავებაა რეპორტაჟსა და კორესპონდენციას შორის?

- ა) რეპორტაჟი ფაქტს ასახავს, ხოლო კორესპონდენცია - პრობლემას იკვლევს;
- ბ) ისინი გამოსახვის ხერხებით განსხვავდებიან: რეპორტაჟი ცნებებით აღწერს ფაქტს, კორესპონდენცია - მხატვრული ხერხებით;
- გ) რეპორტაჟი ფაქტს მიმდინარეობის პროცესში აღწერს, ხოლო კორესპონდენცია იკვლევს, რამ განაპირობა ამ ფაქტის წარმოშობა;
- დ) რეპორტაჟის პრობლემის სახეს ქმნის, კორესპონდენცია უკვე გამოქვეყნებულ ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ადგენს;

18. ჟურნალისტს მოეთხოვება ტენდენციის პირდაპირი გამოვლენა. რას ნიშნავს ეს?

- ა) ობიექტურობას;

ბ) მიკერძოებულობას;

გ) პუბლიკაციაში აღწერილი ფაქტისა თუ პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების შეუნიღბავად გამოხატვას;

დ) ერთ-ერთი მხატვრული ხერხია;

19. რა იგულისხმება, როცა ამბობენ, რომ თემის აქტუალურობა შედარებითია?

ა) თემას აქტუალურად აქცევს მასმედია და არა ობიექტური რეალობა;

ბ) თემას აქტუალურად აქცევს ხელისუფლების დაკვეთა;

გ) ერთი და იგივე თემა შეიძლება აქტუალური იყოს ერთი ქვეყნისთვის, მეორისათვის კი საერთოდ უინტერესო;

დ) ერთი და იგივე თემა ხან აქტუალურია საზოგადოებისათვის, ხან არა;

20. რომელ გვარს მიეკუთვნება ინტერვიუ?

ა) ინფორმაციულს;

ბ) ანალიტიკურს;

გ) ინფორმაციულიც შეიძლება იყოს და ანალიტიკურიც;

დ) სხვა ჟანრებისგან განცალკევებით დგას;

21. რესპონდენტის შერჩევას რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს ჟურნალისტმა?

ა) რესპონდენტის ასაკითა და გარეგნობით;

ბ) რესპონდენტის თანამედროვე სოციალურ-მატერიალური მდგომარეობით;

გ) რესპონდენტის კომპეტენტურობის ხარისხით და მისი ავტორიტეტულობით;

დ) რესპონდენტის რასობრივ-ეროვნული წარმომავლობით;

22. რა განასხვავებს ინტერვიუ-მონოლოგს ინტერვიუ-დიალოგისაგან?

ა) რესპონდენტთა რაოდენობა;

ბ) გამოსახვის საშუალებები;

გ) კითხვათა რაოდენობა;

დ) ვიზუალური გაფორმება;

23. რას ნიშნავს კითხვათა დასმის “აისბერგული” მეთოდი?

ა) რესპონდენტი ვერ უნდა მიხვდეს, რა აინტერესებს ჟურნალისტს;

ბ) კითხვა ქვეტექსტს უნდა შეიცავდეს;

გ) ასეთ კითხვაზე პასუხმა სხვა კითხვები უნდა გააჩინოს;

დ) ასეთი მეთოდი საერთოდ არ არსებობს;

24. რა შემთხვევაში იყენებენ ინტერვიუ-ანკეტას?

ა) როცა პრობლემას იკვლევენ;

ბ) როცა ამა თუ იმ საჭირობოროტო საკითხის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა სურთ;

გ) როცა ფაქტის ირგვლივ ინფორმაციას აგროვებენ;

დ) როცა პიროვნების პორტრეტის შექმნა სურთ;

25. რა შემთხვევაში იყენებენ ინტერვიუ-ჩანახატს?

ა) როცა პრობლემის შესახებ ინფორმაციის მიღება სურთ;

ბ) როცა საზოგადოებრივ აზრს იკვლევენ;

გ) როცა პიროვნების პორტრეტს ქმნიან;

დ) შემთხვევის ადგილას იყენებენ, როგორც მეთოდს;

26. რა განსხვავებაა პრესკონფერენციასა და მრგვალ მაგიდასთან საუბარს შორის?

ა) პრესკონფერენციას ერთი კორესპონდენტი უძღვება, ხოლო საუბარი მრგვალ მაგიდასთან რამდენიმე ჟურნალისტს მიჰყავს;

ბ) პრესკონფერენციაზე მხოლოდ ერთ თემას ეხებიან, მრგვალ მაგიდასთან საუბრის დროს კი - რამდენიმეს;

გ) პრესკონფერენციაში რესპონდენტების რაოდენობა შეზღუდულია, მრგვალ მაგიდასთან საუბარში კი - არა;

დ) ისინი მხოლოდ სახელწოდებით განსხვავდებიან - ერთი ძველი სახელია, მეორე - ახალი;

27. რა როლი ეკისრება ფაქტს სტატიაში?

- ა) სტატიაში ფაქტია მთავარი, რადგან მას აშუქებს;
- ბ) ფაქტს სტატიაში დამხმარე ფუნქცია ენიჭება. ის ადასტურებს, რომ პრობლემა რეალურად არსებობს და მწვავედ დგას საზოგადოების წინაშე;
- გ) სტატიას ეფექტურობას სწორედ ფაქტის წარმოშობის მიზეზების კვლევა სძენს;
- დ) ფაქტი სტატიაში საერთოდ არ გამოიყენება;

28. რა განასხვავებს მოწინავე სტატიას პრობლემურისაგან?

- ა) მხოლოდ მოცულობა - მოწინავე უფრო მცირე მოცულობისაა;
- ბ) პრობლემის თემა - მოწინავე თემატურად შეზღუდულია და მხოლოდ პოლიტიკურ პრობლემებს ეხება;
- გ) პრობლემის აქტუალობის ხარისხი - მოწინავე სტატიაში მოცემული მომენტისათვის ყველაზე მწვავე პრობლემას იკვლევს;
- დ) მოწინავე სტატია პრობლემას არ იკვლევს, მხოლოდ პროპაგანდისტულ ფუნქციას ასრულებს;

29. სტატიის აგების რა და რა სახეებს განასხვავებენ?

- ა) პირამიდისა, გადმობრუნებული პირამიდისა და კვადრატის პრინციპების მიხედვით აგებულ სტატიებს;
- ბ) ორ სახეს: ერთში ანალიზი ხდება კერძოდან ზოგადისაკენ, მეორეში - ზოგადიდან კერძოსაკენ;
- გ) ინფორმაციულ და ანალიტიკურ სტატიებს;
- დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი;

30. რა განსხვავებაა სტატიასა და წერილს შორის?

- ა) სტატია პრობლემას იკვლევს, წერილი კი ფაქტს იტყობინება;
- ბ) წერილს ყოველთვის ჰყავს, გარდა მთელი საზოგადოებისა, კონკრეტული ადრესატი, სტატიას კი - არა;
- გ) სტატია პრობლემას ობიექტურობის პრინციპის დაცვით იკვლევს, წერილის ავტორი კი მხოლოდ თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას გვაცნობს;
- დ) წერილი სიტუაციას იკვლევს, სტატია პრობლემის სახეს ქმნის;

31. სად არის სრულად ჩამოთვლილი წერილის სახეები?

ა) წერილი-მილოცვა, ღია წერილი, წერილი წინადადება, წერილი-მისალმება, წერილი რედაქციას, წერილი-გამოხმაურება, წერილი-განცხადება, წერილი-ბრალდება, წერილი-ჩანახატი;

ბ) წერილი-მილოცვა, ღია წერილი, წერილი წინადადება, წერილი-მისალმება, წერილი რედაქციას, წერილი-გამოხმაურება, წერილი-განცხადება, წერილი-ბრალდება;

გ) წერილი-მილოცვა, ღია წერილი, წერილი წინადადება, წერილი-მისალმება, წერილი რედაქციას, წერილი-გამოხმაურება, წერილი-განცხადება, წერილი-ბრალდება, წერილი-ჩანახატი;

დ) წერილი-მილოცვა, ღია წერილი, წერილი-მისალმება, წერილი რედაქციას, წერილი-გამოხმაურება, წერილი-განცხადება, წერილი-ბრალდება, წერილი-ჩანახატი;

32. რა განასხვავებს მიმოხილვას სხვა პუბლიცისტურ ჟანრთაგან?

ა) მიმოხილვა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფაქტსა და პრობლემას კი არ აშუქებს, არამედ დროს გარკვეულ მონაკვეთში შექმნილ საერთო სურათს ხატავს;

ბ) მიმოხილვა გამოსახვის მხატვრულ ხერხებს იყენებს, სხვა პუბლიცისტური ჟანრები კი სინამდვილეს ცნებებით აშუქებენ;

გ) მიმოხილვა თემატურად შეზღუდულია, ის მხოლოდ ხელოვნების სფეროში მიმდინარე პროცესებს იხილავს;

დ) მიმოხილვა მხოლოდ ტელევიზიაში გამოიყენება, სხვა ჟანრებს კი მასმედიის ყველა საშუალება იყენებს;

33. რატომ მიიჩნევენ რეცენზიას პუბლიცისტურ ჟანრად?

ა) ის სიახლეს ატყობინებს საზოგადოებას;

ბ) მისი მიზანი საზოგადოებრივი აზრის შექმნაა მეცნიერებისა თუ ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ;

გ) რეცენზია პრობლემას აცნობს ფართო საზოგადოებას;

დ) იმიტომ, რომ პრესაში იბეჭდება;

34. რა არის ნარკვევის საგანი?

- ა) სიტუაცია;
- ბ) პროცესი;
- გ) პრობლემა;
- დ) სახის შექმნა;

35. რა და რა სახის ნარკვევს გამოყოფენ?

- ა) პრობლემური, სამოგზაურო, პორტრეტული;
- ბ) სამოგზაურო, ლიტერატურული, რეპორტაჟული;
- გ) პორტრეტული, სამოგზაურო, ლიტერატურული;
- დ) პრობლემური, ლიტერატურული, სამოგზაურო;

36. თავდაპირველად რას ეწოდებოდა ფელეტონი?

- ა) სატირულ-იუმორისტულ მოთხრობას;
- ბ) ჟურნალში გამოქვეყნებულ ნებისმიერ სატირულ ნაწარმოებს;
- გ) ჟურნალისა და გაზეთის “სარდაფში” გამოქვეყნებულ თეატრალურ ცნობებსა და განცხადებებს;
- დ) ჟურნალსა და გაზეთში ჩადებულ ცალკე ფურცელს, რომელზედაც თეატრალური ცნობები და განცხადებები იყო დაბეჭდილი;

37. რით განსხვავდება ფელეტონი პორტრეტული ნარკვევისაგან?

- ა) პორტრეტული ნარკვევის გმირი რეალური პიროვნებაა, ფელეტონის კი - გამოგონილი;
- ბ) ფელეტონის გმირი უარყოფითი პიროვნებაა, პორტრეტული ნარკვევის კი - დადებითი;
- გ) პორტრეტული ნარკვევის ავტორი გამოსახვის მხატვრულ საშუალებებს იყენებს, ფელეტონში კი პრობლემის კვლევა ცნებებით ხდება;
- დ) ფელეტონი იუმორს იყენებს, ნარკვევი კი - არა;

38. რომელ სატირულ-იუმორისტულ ხერხს იყენებს ფელეტონი ყველაზე აქტიურად?

- ა) სატირას;
- ბ) სარკაზმს;

გ) პაროდია;

დ) იუმორს;

39. რისი უფლება არა აქვს ფელეტონის ავტორს?

ა) შეეხოს ფელეტონის გმირის სოციალურ წარმომავლობას;

ბ) შეეხოს ფელეტონის გმირის მატერიალურ მდგომარეობას;

გ) შეეხოს ფელეტონის გმირის გარეგნობას;

დ) შეეხოს ფელეტონის გმირის ფიზიკურ ნაკლს;

40. სად არის სწორად ჩამოთვლილი სატირული პუბლიცისტიკის ყველა ჟანრი?

ა) ფელეტონი, პამფლეტი, ეპიგრამა, პაროდია, შარჟი, იუმორისტული მოთხრობა;

ბ) ფელეტონი, პამფლეტი, სატირული ჩანახატი, პაროდია, შარჟი, კარიკატურა;

გ) ფელეტონი, პამფლეტი, ეპიგრამა, პაროდია, შარჟი, კარიკატურა;

დ) ფელეტონი, იუმორისტული ნარკვევი, ეპიგრამა, პაროდია, შარჟი, კარიკატურა;

41. რა არის პამფლეტი?

ა) პოლემიკურ-აგრესიული ტონის სატირულ-პუბლიცისტური თხზულება;

ბ) ლიტერატურულ-მხატვრული იმიტაცია, ცალკეული ნაწარმოების, ავტორის, ჟანრის დაცინვის მიზნით;

გ) მოკლე სატირული ლექსი;

დ) რაიმე მოვლენის ან ადამიანის სატირული ან იუმორისტული გამოსახულება;

42. რა არის პაროდია?

ა) პოლემიკურ-აგრესიული ტონის სატირულ-პუბლიცისტური თხზულება;

ბ) ლიტერატურულ-მხატვრული იმიტაცია, ცალკეული ნაწარმოების, ავტორის, ჟანრის დაცინვის მიზნით;

გ) მოკლე სატირული ლექსი;

დ) რაიმე მოვლენის ან ადამიანის სატირული ან იუმორისტული გამოსახულება;

43. რა არის ეპიგრამა?

ა) პოლემიკურ-აგრესიული ტონის სატირულ-პუბლიცისტური თხზულება;

ბ) ლიტერატურულ-მხატვრული იმიტაცია, ცალკეული ნაწარმოების, ავტორის, ჟანრის დაცინვის მიზნით;

გ) მოკლე სატირული ლექსი;

დ) რაიმე მოვლენის ან ადამიანის სატირული ან იუმორისტული გამოსახულება;

44. რა არის შარჟი?

ა) პოლემიკურ-აგრესიული ტონის სატირულ-პუბლიცისტური თხზულება;

ბ) ლიტერატურულ-მხატვრული იმიტაცია, ცალკეული ნაწარმოების, ავტორის, ჟანრის დაცინვის მიზნით;

გ) მოკლე სატირული ლექსი;

დ) რაიმე მოვლენის ან ადამიანის სატირული ან იუმორისტული გამოსახულება;

45. რა დაპირისპირებაზე იგება ნებისმიერი საგამომიებო ჟურნალისტური ნაწარმოები?

ა) სინამდვილის აღქმის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დაპირისპირების;

ბ) მსხვერპლისა და ჯალათის;

გ) სიკეთისა და ბოროტების;

დ) გამონაგონისა და სინამდვილის;

46. როგორ იხატება უარყოფითი “გმირი” საგამომიებო ჟურნალისტიკაში?

ა) წარმოჩენილია მისი დადებითი და უარყოფითი თვისებები;

ბ) ის მხოლოდ “შავ ფერებში” იხატება, ჟურნალისტს მისი დადებითი თვისებები არ აინტერესებს;

გ) ჟურნალისტი თავის დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს;

დ) იქმნება მისი მხატვრული სახე;

47. როგორ იხატება დაზარალებულის სახე საგამოძიებო ჟურნალისტიკაში?

ა) მას მხოლოდ “თეთრ ფერებში” წარმოგვიდგენს ჟურნალისტი, შეცდომებზე ყურადღება არ მახვილდება;

ბ) დაზარალებულის პიროვნება ნაცრისფერში წარმოგვიდგება, აღინიშნება მისი შეცდომებიც, რომელთა გამოც ის უარყოფითი “გმირის” მსხვერპლი გახდა;

გ) დაზარალებულის პორტრეტზე ყურადღება საერთოდ არ მახვილდება;

დ) იქმნება მისი მხატვრული სახე;

48. საგამოძიებო ჟურნალისტიკაში რამდენიმე დაზარალებულიდან რა პრინციპით ირჩევენ ერთს?

ა) იმას ირჩევენ, ვინც ყველაზე უფრო ცნობილია;

ბ) იმას ირჩევენ, ვინც ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწია უსამართლობას;

გ) იმას, ვინც ყველაზე მეტად დაზარალდა შექმნილი სიტუაციით, ვინც ყველაზე უფრო შესაბრალისია;

დ) ვისგანაც პირველად შეიტყვეს დანაშაულის შესახებ;

49. რა შემთხვევაში წყვეტს ჟურნალისტი “წყაროსთან” თანამშრომლობას?

ა) როცა იგებს, რომ წყაროს პირადი მოტივაცია ამოძრავებს მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის მოწოდებისას;

ბ) როცა თავად წყარო ამბობს უარს შემდგომ ურთიერთობაზე;

გ) თუკი წყაროს შესაძლებლობა, მოგვაწოდოს დამატებითი ინფორმაცია, ამოიწურა;

დ) როცა წყაროს მიმართ ჟურნალისტს უარყოფითი შეხედულება გაუჩნდება;

50. გამოძიების რომელ ეტაპზე უნდა შედგეს ინტერვიუ “ჯალათთან”?

ა) გამოძიების დაწყებისთანავე;

ბ) მასალების მოგროვების პროცესში;

გ) გამოძიების ბოლო ეტაპზე;

დ) “ჯალათთან” ინტერვიუ საერთოდ არ არის საჭირო;

51. რა შემთხვევაში ითვლება ჟურნალისტური გამოძიება წარმატებულად?

ა) როდესაც მას ხელისუფლების მიერ შესაბამისი რეფორმის გატარება ან კანონის მიღება მოჰყვება;

ბ) როდესაც მძაფრ საზოგადოებრივ რეაქციას გამოიწვევს;

გ) როდესაც კონკრეტული დამნაშავეები დაისჯებიან;

დ) როგორც კი მას რედაქტორი მოიწონებს;

52. ვის საქმიანობას იძიებს საგამოძიებო ჟურნალისტიკა?

ა) ნებისმიერი მოქალაქის;

ბ) სახელისუფლო სტრუქტურებში მომუშავე პირების;

გ) საზოგადოებრივი ორგანიზაციების;

დ) სამართალდამცავი ორგანოების;

53. სად არის სწორად ჩამოთვლილი გამოძიებელი ჟურნალისტის იარაღები?

ა) ინტერვიუები, დოკუმენტები, მოქალაქეთა წერილები, შედარება;

ბ) ინტერვიუები, სტატიები, დაკვირვება, შედარება;

გ) ინტერვიუები, დოკუმენტები, დაკვირვება, შედარება;

დ) ინტერვიუები, დოკუმენტები, დაკვირვება, კორესპონდენციები;

54. რა უფრო მნიშვნელოვანია გამოძიებელი ჟურნალისტისათვის?

ა) ნივთმტკიცება და დოკუმენტი;

ბ) ექსპერტის დასკვნა ნივთმტკიცებასა და დოკუმენტზე;

გ) “მსხვერპლისგან” აღებული ინტერვიუ;

დ) “ჯალათისგან” აღებული ინტერვიუ;

55. სად არის სწორად ჩამოთვლილი საგამოძიებო პროექტის დაგეგმვის პუნქტები?

ა) სახელწოდება, გამოძიების საგანი, მნიშვნელობა, გამოძიების ფოკუსი, მეთოდები, წყაროები, გამოძიების ილუსტრირება;

ბ) სახელწოდება, გამოძიების საგანი, მსხვერპლის გაღება, გამოძიების ფოკუსი, მეთოდები, წყაროები, გამოძიების ილუსტრირება;

გ) სახელწოდება, გამოძიების საგანი, სიუჟეტური ჯაჭვის შექმნა, გამოძიების ფოკუსი, მეთოდები, წყაროები, გამოძიების ილუსტრირება;

დ) სახელწოდება, თემის პრეზენტაცია, მნიშვნელობა, გამოძიების ფოკუსი, მეთოდები, წყაროები, გამოძიების ილუსტრირება;

56. სად არის სწორად ჩამოთვლილი საგამოძიებო პროექტის წერის ეტაპები?

ა) სახელწოდება, მსხვერპლის გაღება, სიუჟეტური ჯაჭვის შექმნა, მასალის ფორმატის შერჩევა, თხოვის ტონის განსაზღვრა, სიუჟეტური ჯაჭვის დოკუმენტირება;

ბ) თემის პრეზენტაცია, მსხვერპლის გაღება, სიუჟეტური ჯაჭვის შექმნა, მასალის ფორმატის შერჩევა, თხოვის ტონის განსაზღვრა, სიუჟეტური ჯაჭვის დოკუმენტირება;

გ) თემის პრეზენტაცია, მსხვერპლის გაღება, სიუჟეტური ჯაჭვის შექმნა, გამოძიების ფოკუსი, თხოვის ტონის განსაზღვრა, სიუჟეტური ჯაჭვის დოკუმენტირება;

დ) თემის პრეზენტაცია, მსხვერპლის გაღება, მეთოდები, მასალის ფორმატის შერჩევა, თხოვის ტონის განსაზღვრა, სიუჟეტური ჯაჭვის დოკუმენტირება;

57. რა შემთხვევაში უნდა შეირჩეს “ახალი ამბების” ფორმატი?

ა) როცა ჟურნალისტის ხელთ არსებული მასალა ეხება მოვლენას რომელიც სულ ახლახანს დასრულდა, ან კვლავაც მიმდინარეობს;

ბ) როცა მასალა კორუფციულ სქემას ეხება;

გ) როცა მასალა ერთი ადამიანის ან ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს;

დ) ეს ფორმატი საგამოძიებო ჟურნალისტიკაში არ გამოიყენება;

58. რა შემთხვევაში უნდა შეირჩეს “მსუბუქი ფიჩერის” ფორმატი?

ა) როცა ჟურნალისტის ხელთ არსებული მასალა ეხება მოვლენას რომელიც სულ ახლახანს დასრულდა, ან კვლავაც მიმდინარეობს;

ბ) როცა მასალა კორუფციულ სქემას ეხება;

გ) როცა მასალა ერთი ადამიანის ან ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს;

დ) ეს ფორმატი საგამოძიებო ჟურნალისტიკაში არ გამოიყენება;

59. რა შემთხვევაში უნდა შეირჩეს “რთული ფიჩერის” ფორმატი?

ა) როცა ჟურნალისტის ხელთ არსებული მასალა ეხება მოვლენას რომელიც სულ ახლახანს დასრულდა, ან კვლავაც მიმდინარეობს;

ბ) როცა მასალა კორუფციულ სქემას ეხება;

გ) როცა მასალა ერთი ადამიანის ან ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს;

დ) ეს ფორმატი საგამოძიებო ჟურნალისტიკაში არ გამოიყენება;

60. რა არის “უეტერგეიტი”?

ა) ჟურნალისტური გამოძიების ერთ-ერთი სტატიის სახელწოდება;

ბ) აშშ დემოკრატიული პარტიის შტაბბინის სახელი;

გ) საიდუმლო დოკუმენტის სახელწოდება;

დ) სენატის მიერ მიღებული კანონის სახელწოდება;

61. რაში დაადანაშაულებს პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაცია გამომძიებელმა ჟურნალისტებმა?

ა) ვიეტნამის ომის დაწყებაში;

ბ) დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინის უკანონო ფარულ მოსმენაში;

გ) სამხედრო ტყვეებისადმი გამოჩენლ სისასტიკეში;

დ) კორუფციაში;

მასობრივი კომუნიკაცია

62. საზოგადოებრივი კომუნიკაციის პროცესის დონეთა შორის რომელი წარმოადგენს მასობრივს?

ა. გლობალური კომუნიკაცია და კომუნიკაცია საზოგადოების მასშტაბით;

ბ. ინსტიტუციური კომუნიკაცია და ჯგუფთაშორისი კომუნიკაცია;

- გ. შიდაჯგუფური კომუნიკაცია და ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
- დ. ინტერპერსონალური კომუნიკაცია და კომუნიკაცია საზოგადოების მასშტაბით;

63. რას აღნიშნავს კომუნიკატივისტიკაში ტერმინი „მედია“?

- ა. ინფორმაციის გაცვლას საზოგადოებაში;
- ბ. კავშირის საშუალებას მატერიალური და სულიერი სამყაროს ობიექტებს შორის;
- გ. ინფორმაციულ საშუალებათა ყოველგვარ სახეობას უძველესი დროიდან დაწყებული დღევანდელი ინფორმაციული სუპერმაგისტრალების ჩათვლით;
- დ. ტელემაუწყებლობის თანამედროვე, უახლეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

64. რას მიაკუთვნებენ კომუნიკატივისტიკაში მასმედიას?

1. რადიოსა და ტელევიზიას;
2. მასობრივი ურთიერთობების პროპაგანდას;
3. ტრანსნაციონალურ ბეჭდვით გამოცემებს, საერთაშორისო მასშტაბის ტელერადიო-ორგანიზაციებს, ქვეყნის შიგნით არსებულ ბეჭდურ მედიას;
4. პრესას, რადიოს ტელევიზიას, კინემატოგრაფს, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს, ვიდეოტექსტს, ტელეტექსტს, სარეკლამო პანელებსა და საშინაო ვიდეოცენტრებს;

65. რა მნიშვნელობით განიხილება კომუნიკატივისტიკაში ტერმინი „კომუნიკაცია“?

1. როგორც ურთიერთობა – ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის ინფორმაციის გადაცემა;
2. როგორც ინფორმაციის გაცვლა (სოციალური კომუნიკაცია);
3. როგორც სუბიექტის ინფორმაციული კავშირი ამა თუ იმ ობიექტთან, რომელმაც უნდა მიიღოს, გაიგოს და აღიქვას ინფორმაცია;
4. ადამიანების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების, სახელმწიფოების სოციალურ-კულტურული ურთიერთქმედება ინფორმაციული კავშირების მეშვეობით;

66. რა მიეკუთვნება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს?

- ა. რადიო და ტელევიზია;
- ბ. პრესა და პოლიგრაფია;
- გ. პოლიგრაფია, ფოტოგრაფია და კინო;
- დ. ინტერნეტჟურნალისტიკა;

67. რა მიეკუთვნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს?

- ა. პრესა და პოლიგრაფია;
- ბ. კინო და ფოტოგრაფია;
- გ. პრესა, რადიო, ტელევიზია და ინტერნეტჟურნალისტიკა;
- დ. აუდიო და ვიდეოჩაწერა;

68. როგორია მასმედია მმართველი ჯგუფის პირობებში?

- ა. კონცენტრირებულია მცირე ჯგუფის ხელში და ტიპობრივად ერთგვაროვანია;
- ბ. მრავალრიცხოვანი და ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი;
- გ. დაბალანსებული და ორი პოზიციის ამსახველი;
- დ. ერთგვაროვანი და ნეიტრალური;

69. როგორია მასმედია პლურალიზმის პირობებში?

- ა. მრავალრიცხოვანი და ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი;
- ბ. დაბალანსებული და ორი პოზიციის ამსახველი;
- გ. ერთგვაროვანი და ნეიტრალური;
- დ. კონტროლირებადი

70. თავისუფალი ინფორმაციის ნაკადები, რომლებიც საბაზრო მოთხოვნილებითაა განპირობებული, რას უწყობს ხელს?

- ა. თავისუფალი მედიის ჩამოყალიბებას, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა ინტერესებს;
- ბ. კონკურენტუნარიანი და მაღალპროფესიული მედიის არსებობას;
- გ. მაღალშემოსავლიანი მედიის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელისუფლებაზე აღარაა დამოკიდებული და თავისუფალია;
- დ. მედიამეპატრონეთა ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებას, რაც ზღუდავს მედიის დამოუკიდებლობას;

71. რომელი თეორია მიიჩნევს მასმედიის მიზნად წესრიგის, სტაბილურობის შენარჩუნებასა და, საჭიროების შემთხვევაში, კონტროლს?

- ა. ფუნქციონალისტური;
- ბ. ნეომარქსისტული;
- გ. ტექნოლოგიური დეტერმინიზმის;
- დ. საზოგადოების მოდერნიზაცია–განვითარების;

72. ინფორმაციული საზოგადოების თეორიის მიხედვით, რა შეუქმნის საფრთხეს მასმედიას უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად?

- ა. დემასიფიკაციის პროცესი;
- ბ. თავისუფალი ინფორმაციული ნაკადები;
- გ. ინტერნეტის განვითარება და მასმედიის ტექნოლოგიური „ჩამორჩენა“;
- დ. ტენდენციები, რომლებიც მედიას ძველმოდურს გახდის;

73. რომელ აზრს ეყრდნობა „სოციალური პასუხისმგებლობის“ დოქტრინა?

- ა. საზოგადოებას არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ ადეკვატური პრესა უნდა ჰქონდეს;
- ბ. მასობრივი საკომუნიკაციო არხები დანგრეული ეკონომიკისა და ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარების სერიოზულ საშუალებას წარმოადგენს;
- გ. ჟურნალისტიკის ერთ–ერთი ამოცანაა ცოდნის გავრცელება და ტექნიკური სიახლეების დამკვიდრება ;
- დ. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ამოცანაა ახლად შექმნილ სახელმწიფოებში ეროვნული ერთიანობის სულისკვეთების გაღვივება;

74. რაში მდგომარეობს ზიბერტის,პეტერსონისა და შრამის კოლექტიური ნაშრომის „პრესის ოთხი თეორიის“ მთავარი დებულება?

- ა. ნაშრომის მთავარი დებულება ეყრდნობა აზრს,რომ სახელმწიფოს არათუ არა აქვს უფლება ჩაერიოს მოქალაქის პირად საქმიანობაში,არამედ საჭიროების შემთხვევაში ეს მისი მოვალეობაცაა;
- ბ. კერძო მეპატრონეები დიდი სიფრთხილით და პატივისცემით უნდა მოეპყრან საზოგადოების ინტერესებს;
- გ. ნაშრომის მთავარი დებულებაა,რომ პრესის საქმიანობა ყოველთვის დამოკიდებულია იმ სისტემაზე,რომელშიც ის მოქმედებს;
- დ. პრესა უნდა ჩაერთოს საზოგადოებაში მიმდინარე ინტეგრაციისა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესში;

75. რას ეყრდნობოდა „სტიმული–რეაქციის“ პრინციპზე აგებული „ჯადოსნური ტყვიის თეორიები“?

- ა. ინფორმაციის მომენტალური გადაცემის პრინციპს;
- ბ. სოციალური მართვის აუცილებლობის მოთხოვნას;
- გ. პროპაგანდის ყოვლისშემძლეობის რწმენას;

დ. სახელმწიფოს,საზოგადოებისა და მედიის ურთიერთთანამშრომლობის იდეას;

76. რომელი დებულება შეესაბამება ნოელ–ნოიმანის „დუმილის სპირალის“ კონცეფციას?

ა. საზოგადოება დიდი ნაწილი კანონმორჩილების გამო ძირითადად მასმედიისგან მოითხოვს „დუმილს“, მედიისთვის ეს კომფორტულია ;

ბ. მასმედია,რომელიც დამოკიდებულია ხელისუფლებაზე ან მედიამეპატრონეზე,ხშირად „დუმს“ სიმართლეზე,ეს დუმილი გადამდებია და საზოგადოებაც ეჩვევა სიცრუეს;

გ. სიმართლეზე დუმს ჯერ ხელისუფლება,შემდეგ პრესა და ბოლოს,საზოგადოება;

დ. პიროვნება იზოლაციაში მოხვედრის შიშით გამოხატავს დუმილით თანხმობას საზოგადოებრივ აზრზე,რომლის წყაროც არის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები;

77. რას გამოხატავს კომუნიკატორის ცნება მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში?

ა. პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს, რომელიც ქმნის შეტყობინებებს ნაბეჭდი ტექსტების,რადიო და ტელეპროგრამების,ფილმების თუ სხვა სახით;

ბ. პიროვნებას,რომელიც კომუნიკაციის პროცესში შუამავალია აუდიტორიასა და რედაქციას შორის;

გ. პიროვნებას,რომელიც იღებს შეტყობინებას;

დ. პიროვნებას,რომელიც აკვირდება კომუნიკაციის პროცესს;

78. მანუელ კასტელსის შეხედულებით, რა უცვლის შეტყობინებას შინაარსს,როცა პოლიტიკური მოვლენები პოლიტეინმეტად(პოლიტიკა–გართობად) გადაიქცევა ხოლმე?

ა. თვითონ ინფორმაციის მატარებელი (მესინჯერი) და არა საშუალება;

ბ. ჟურნალისტი,რომელიც დაინტერესებულია ინფორმაცია უფრო მიმზიდველი გახადოს;

გ. თავად საშუალება,რომელიც უკვე შეტყობინებას წარმოადგენს;

დ. აუდიტორიის დაკვეთა;

79. რას ნიშნავს მეტაშეტყობინება?

- ა. შეტყობინებას,რომელიც თავისი მნიშვნელობით უფრო მეტია ,ვიდრე ჩვეულებრივი შეტყობინება ;
- ბ. მოცულობით დიდი შეტყობინება;
- გ. შეტყობინებას,რომელიც ისეთ დამატებით შინაარსს შეიცავს,რომელიც მის ტექსტში არ მოხვდა;
- დ. შეტყობინებას,რომელიც შეიცავს განსაკუთრებულ,საიდუმლო ინფორმაციას,ექსკლუზივს;

80. რა არის ინტენცია?

- ა. კომუნიკაციური პროცესის გააქტიურება;
- ბ. კომუნიკაციურ ტექსტში არსებული სუბიექტური ელემენტები;
- გ. კომუნიკაციური განზრახულობა;
- დ. კომუნიკაციური ტექსტის გამომსახველობა ;

81. რა მნიშვნელობით გამოიყენება კომუნიკაციის თეორიაში „დისკურსი“?

- ა. იგი გამოიყენება კომუნიკაციური პროცესის მეტყველებითი სპეციფიკის,მისი სტილის აღმნიშვნელ ტერმინად;
- ბ. როგორც კომუნიკაციური პროცესის მიმართულების აღმნიშვნელი ტერმინი;
- გ. კომუნიკაციური პროცესის შინაგანი წინააღმდეგობის გამომხატველი ტერმინი;
- დ. კომუნიკაციური პროცესის აზრობრივი მრავალფეროვნების აღმნიშვნელი ტერმინი;

82. რა წარმოადგენს შუამავალს სისტემაში „ჟურნალისტიკა–აუდიტორია“?

- ა. ჟურნალისტი;
- ბ. შეტყობინება;

გ. ეთიკური ნორმები;

დ. არხი;

83. რომელი ასპექტი განსაზღვრავს ინფორმაციის ურთიერთობას აუდიტორიასთან?

ა. სემანტიკური;

ბ. სინტაქტიკური;

გ. პრაგმატისტული;

დ. სემიოტიკური;

84. რომელი პირობის დაცვაა აუცილებელი პრაგმატისტული ადეკვატურობის მისაღწევად?

ა. ორიგინალურობა, არაბანალურობა ცნობებისა, რომელსაც აუდიტორიას ვატყობინებთ;

ბ. ინფორმაციის მოცულობითი პარამეტრების დაცვა;

გ. რეგლამენტირებული ინფორმაციის მიწოდება;

დ. ინფორმაციის სიზუსტე;

85. რაში ეხმარება ჟურნალისტს აუდიტორიის თეზაუროსის ცოდნა?

ა. რელევანტურობის მიღწევაში;

ბ. ინფორმაციის სიახლის გამოვლენაში;

გ. მისაწვდომობის, დეკოდირებულობის პირობის შესრულებაში;

დ. აუდიტორიის მოთხოვნილებების გათვალისწინებაში;

86. რას ემსახურება რელევანტურობის პირობის დაცვა?

ა. პრაგმატისტულ ადეკვატურობას;

ბ. სემანტიკურ ადეკვატურობას;

გ. სინტაქტიკურ ადეკვატურობას;

დ. ტექსტის ანალიზს;

87. რას გულისხმობს ინფორმაციის სემანტიკური ასპექტი?

ა. ისეთი ციდანის, ღირებულებების არსებობას, რომელსაც მკითხველი ჯერ არ ფლობს;

ბ. ინფორმაციის დამოკიდებულების ხარისხს სინამდვილესთან;

გ. ჟურნალისტის ენა მისაწვდომი უნდა იყოს აუდიტორიისთვის;

დ. აუდიტორიის მოთხოვნილებების გათვალისწინებას;

88. რისკენ არის მიმართული ჟურნალისტიკის სოციალურ-აღმზრდელობითი ფუნქცია?

ა. აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებისკენ;

ბ. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ;

გ. ადამიანთა შეგნებისა და თვითშეგნების ამაღლებისკენ;

დ. ცოდნის ფართო სპექტრის გავრცელებისკენ;

89. ადამიანის აზროვნების რომელ კომპონენტზე ახდენს ზეგავლენას პროპაგანდა და კონტრპროპაგანდა?

ა. მსოფლმხედველობასა და მსოფლმჭვრეტელობაზე;

ბ. საზოგადოებრივ აზრზე;

გ. მსოფლმჭვრეტელობასა და საზოგადოებრივ აზრზე;

დ. მსოფლმხედველობასა და საზოგადოებრივ აზრზე;

90. ადამიანის აზროვნების რომელ კომპონენტზე ახდენს ზეგავლენას აგიტაცია?

ა. მსოფლმხედველობასა და მსოფლმჭვრეტელობაზე;

ბ. საზოგადოებრივ აზრზე;

გ. მსოფლმხედველობაზე;

დ. მსოფლმჭვრეტელობაზე;

91. რას გულისხმობს პროპაგანდა?

ა. საქმიანობას ფუნდამენტური იდეების გავრცელების მიზნით;

ბ. ფაქტებისა და მოვლენების შეფასებას;

გ. ადამიანების მოტყუებას ;

დ. ოპერატიული ინფორმაციის გავრცელებას;

92. რას ნიშნავს აგიტაცია?

ა. სისტემური ცოდნის გავრცელებას;

ბ. ფუნდამენტური იდეების გავრცელებას;

გ. საქმიანობას ოპერატიული ინფორმაციის გავრცელებისთვის;

დ. სასურველი იდეების ქადაგებას;

93. რას აკანონებს სარწმუნოების პრინციპი?

ა. რეალური ამბის გამოყენებას ჟურნალისტიკის მიერ;

ბ. ფაქტების განსხვავებული ინტერპრეტაციით შეფასებას;

გ. ფაქტებისა და მოვლენების ანალიზს;

დ. აქტუალური ფაქტების შერჩევას;

94. რას გულისხმობს ობიექტურობის პრინციპი?

ა. ფაქტების რეალურად, სწორად ასახვას;

ბ. ისეთი სარწმუნო ფაქტების შერჩევას, რომლებიც ობიექტურად გამოხატავენ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს;

გ. ფაქტებისა და მოვლენების მიუკერძოებლად შეფასებას;

დ. ფაქტების ობიექტურ ანალიზს;

95. რა მიზანი აქვს ჟურნალისტიკას უშუალო–ორგანიზაციული ფუნქციის შესრულებისას?

ა. ხალხის მასების დარაზმვა და ორგანიზება;

ბ. ჩასწვდეს ცხოვრების ყველა სფეროს, გაანალიზოს საწარმოების, დაწესებულებებისა და სახელისუფლებო სტრუქტურათა მუშაობა;

გ. ორგანიზაცია გაუწიოს სარედაქციო მუშაობას;

დ. გამოკვეთოს ტექსტის სტრუქტურულ–ორგანიზაციული მაჩვენებლები;

96. ვის ეკუთვნის ცნობილი ფრაზა „საშუალება არის შეტყობინება“?

ა. მანუელ კასტელს;

ბ. ჰაროლდ ინისს;

გ. უილბურ შრამს;

დ. მარშალ მაკლუენს;

97. რას გულისხმობდა „ახალი მსოფლიო ინფორმაციული წესრიგის“ კონცეფცია?

ა. ინფორმაციული ექსპანსიის თავიდან აცილების მიზნით, ინფორმაციული ნაკადების არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ დაბალანსებული გავრცელება ;

ბ. მსოფლიოს ინფორმაციული სივრცის ახალი გადანაწილება ;

გ. ტექნოლოგიურად დაწინაურებული ქვეყნების მედიაიმპერიალისტური წესრიგის დამყარება;

დ. ინფორმაციის თავისუფალი ნაკადის გავრცელება და ცირკულაცია;

98. რას ნიშნავს მედიაზაციის ცნება?

- ა. ისეთი შინაარსის პროცესს, რომლის დროსაც აუდიტორიის ქცევა მასმედიით გავრცელებულ შეტყობინებათა შინაარსზეა დამოკიდებული;
- ბ. ისეთ შეუქცევად პროცესს, რომელიც თანდათანობით მედიასაშუალებათა სრულ გაბატონებას იწვევს სულიერ სფეროში;
- გ. მედიის მიერ ჭეშმარიტი სულიერი ღირებულებების გაუფასურების პროცესს;
- დ. თანამედროვე მედიის აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ პროცესებში;

99. ვის ეკუთვნის „ელექტრონული კოტეჯების“ თეორია, რომელშიც ნაწინასწარმეტყველება საწარმოო პროცესების სრული კომპიუტერიზაცია?

- ა. მარშალ მაკლუენს;
- ბ. თეოდორ პეტერსონს;
- გ. ჰაროლდ ინისს;
- დ. მანუელ კასტელსს;

100. რომელი პროცესის თანმდევი აუთანასწორობა ახალი ამბების წარმოებასა და გავრცელებაში, რაც წაშლას უქადის კულტურულ ავტონომიებს?

- ა. ქსელური საზოგადოების შექმნის;
- ბ. მედიაბიზნესის მიერ ინფორმაციის კომერციალიზაციის;
- გ. ინტერნეტული მასმედიის განვითარების;
- დ. გლობალიზაციის;

101. რას ეყრდნობა სამოქალაქო ჟურნალისტიკის კონცეფცია?

- ა. ადამიანთა საზოგადოებრივი აქტივობისა და როლის ამაღლებას, საზოგადოებრივი პრობლემების გამოვლენასა და მათ მოგვარებაში მონაწილეობის მიღებას;
- ბ. სოციალური გარდაქმნების დაჩქარების იდეას;
- გ. მოქალაქეთა უფლებების დაცვის იდეას;
- დ. სოციალური წესრიგის შენარჩუნებას, საზოგადოების მომზადებას გარდაქმნებისათვის;

102. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ფუნქციათა რომელ ჯგუფს აღიარებს კომუნიკატივისტიკა ?

- ა. ინფორმირების,გართობისა და შემეცნებითს;
- ბ. აღმზრდელობითს,იდეოლოგიურსა და რეკრეაციულს;
- გ. კულტურულ–საგანმანათლებლო, შემეცნებითსა და რეკრეაციულს
- დ. გარემოზე კონტროლის,საზოგადოებისა და გარემოს ელემენტების კორელაციის,სოციალურ–კულტურული მემკვიდრეობის შენახვისა და გადაცემის;

103. მასობრივი კომუნიკაციის რომელ ფუნქციებს მიიჩნევენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში?

- ა. გართობის, რეკრეაციის, აღმზრდელობითს;
- ბ. შემეცნებითს,რეკრეაციულს, გარემოზე კონტროლის;
- გ. სოციალურ–კულტურული მემკვიდრეობის შენახვისა და გადაცემის, ვაჭრობისა და მომსახურების სიახლეთა რეკლამირების;
- დ. გართობის,ახალი ამბების გავრცელების,ვაჭრობისა და მომსახურების სიახლეთა რეკლამირების;

104. რომელ მთავარ დებულებას ეყრდნობოდა კომუნიკატივისტიკის „ტორონტოს სკოლა“?

- ა.მასმედიას შეუძლია ეფექტიანი გავლენა მოახდინოს საზოგადოების განვითარებაზე,თუნდაც ამა თუ იმ რგოლში არსებული წონასწორობის დარღვევით;
- ბ. ყველა ცივილიზაციას კომუნიკაციის საკუთარი მოდელი აქვს,რაც გამოიხატება კიდევ სოციალურ ცნებებსა და ურთიერთობებში;
- გ. მასმედიას აქვს ზემოქმედებითი უნარი,რომელიც ინფორმაციის სწორხაზოვან და ერთმიმართულებიან გავრცელებას ემყარება;
- დ. კომუნიკაციის საშუალებები და კულტურა იმ ადამიანთა ღირებულებებსა და ნორმებს ასახავს,რომლებიც წარმოების საშუალებებს ფლობენ;

105. რა იყო, უოლტერ ლიპმანის აზრით, პრესის სისუსტის მიზეზი?

- ა. ის მიიჩნევდა, რომ სიმართლე ხშირად არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელშია, რის დადგენაც პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომაც არის პრესა უიმედოდ სუსტი;
- ბ. სამყაროს სურათი ადამიანთა სტერეოტიპებს, ფანტაზიასა და მათს სიბრიყვეს ემყარება, სინამდვილე რთულია და პრესა ადამიანებს ეხმარება მისი გამარტივებული მოდელის შექმნაში;
- გ. პრესა ყოველთვის იქნება დამოკიდებული იმ ადამიანებზე, რომელთა ხელშიც არს ძალაულება;
- დ. პრესა ხელისუფლებასთან ერთად ქმნის იმის ილუზიას, რომ ყველაფერი სხვაგვარადაა, ორივეს საკუთარი მოტივები აქვს;

106. გაზეთის თავისებურებები, რომლებიც მას განასხვავებს კომუნიკაციის სხვა საშუალებებისგან:

- ა. პერიოდულობა, ოპერატიულობა და შინაარსის მრავალფეროვნება;
- ბ. პერიოდულობა, შინაარსის მრავალფეროვნება, მასობრიობა;
- გ. ოპერატიულობა, ყველასთვის მისაწვდომობა, პერიოდულობა;
- დ. პერიოდულობა, სისტემატურობა, ელიტარულობა;

107. ჟურნალის თავისებურებები, რომლებიც მას გაზეთისგან განასხვავებს:

- ა. ნაკლებოპერატიულობა, გვერდების უფრო დიდი რაოდენობა, ნაკლებაქტუალურობა;
- ბ. უფრო იშვიათად გამოდის, ვიდრე გაზეთი, უფრო მეტი გვერდი აქვს, საინტერესო თემებზეა ორიენტირებული;
- გ. აქვს ყდა, ფორმატი – მცირე; იშვიათად გამოდის, აუდიტორია დიფერენცირებულია, მეტი ანალიზი და სიღრმე ახასიათებს;
- დ. ნაკლებოპერატიულია, ფორმატი მცირე აქვს, ილუსტრირებულია, გასართობია;

108. რა ჩამოაყალიბა თავისუფალი ინფორმაციული ნაკადების საყოველთაო ცირკულაციამ?

- ა. განვითარებადი ქვეყნების შერეობა მსოფლიო საინფორმაციო სივრცესთან;
- ბ. ინფორმაციული საზოგადოება;
- გ. თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია;
- დ. მედიაიმპერიალიზმი;

109. რამ შეუშალა ხელი „ახალი მსოფლიო ინფორმაციული წესრიგის“ კონცეფციის წარმატებას?

- ა. იუნესკომ და მკბრაიდის კომისიამ;
- ბ. განვითარებადი ქვეყნების პროტესტმა;
- გ. ანტიგლობალისტურმა გამოსვლებმა;
- დ. ზოგიერთმა მაღალგანვითარებულმა ქვეყანამ (აშშ, ინგლისი) და ჟურნალისტურმა ორგანიზაციამ;

110. რა არის პოპულარული იდეების შედეგი?

- ა. მედიასფერო კარგავს საზოგადოებრივი ზემოქმედების უნარს;
- ბ. ჟურნალისტიკა ხდება ხალხის ინტერესების გამომხატველი;
- გ. ჟურნალისტიკა ხდება გაცილებით პოპულარული, ვიდრე ოდესმე;
- დ. ჟურნალისტიკა პოპულისტური იდეების ქადაგებას იწყებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მალაღურაძე თ. თანამედროვე პუბლიცისტური ჟანრების თავისებურებანი. თბ., „უნივერსალი“, 2009 წ.
2. გოგიჩაიშვილი ა., ხაჯომია ნ., საგამოძიებო ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები, ავტოგრაფი, თბ., 2003 წ.
3. სურგულაძე რ., იბერი ე. „მასობრივი კომუნიკაცია“, თბ. 2003 წ.
4. მელვინ დეფლორი, ევრეტ დენისი, „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის“, გამომცემლობა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა, 2009 წ.